

მერის 2021 წლის საბოლოო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახური

ელექტრონული სისტემის გამოყენება, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო რეფორმის დანერგვის პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმისწარმოების სწორად და ეფექტურად მართვის კუთხით.

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (e dokumenti და MMS) მოქმედებდა 2014 წლიდან 2021 წლამდე.

2021 წლის ივნისიდან ვანის მუნიციპალიტეტის მერია გადავიდა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისწარმოების ავტომატიზირებულ ელექტრონულ სისტემაზე, რომელშიც დარეგისტრირებულია 176 თანამშრომელი.

მერიაში სტრუქტურით გათვალისწინებული 71 სამტატო ერთეულის შესაბამისად ყველა დასაქმებულია. შრომითი ხელშეკრულებით აყვანილია 15, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით აყვანილია მერის 21 წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულებში და მერის წარმომადგენლის 40 ასისტენტი.

მერიაში ფუნქციონირებს 9 ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეული და 9 ა(ა)იპ-ი.

რაც შეეხება მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს, იგი აერთიანებს 5 განყოფილებას.

საანგარიშო პერიოდში შემოსული კორესპონდენციის (6962), მოქალაქეთა განცხადებების (2498), საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით (53) შემოსული განცხადებებისა და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული მასალების უმრავლესობა დაკმაყოფილებულია. დარჩენილი საკითხების რეალიზებისთვის მიმდინარეობს სისტემატიზირებული მუშაობა.

რაც შეეხება მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილებას, იგი ორგანიზებას უწევს მერის წარმომადგენლებთან ყოველკვირეულ საინფორმაციო თათბირის გამართვას, სადაც იკვეთება ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული პრობლემები და ოპერატიულად ხდება მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზების დასახვა. საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში ყველა დასახლებულ პუნქტში (გარდა ქალაქისა) მოეწყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განხილვა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 განკარგულების შესაბამისად ყველა სოფლისთვის გამოყოფილი თანხა 580 000 ლარი გამოყენებულია იმ პრიორიტეტების მიხედვით, რაც თითოეული სოფლის მოსახლეობის უმრავლესობამ გადაწყვიტა.

2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 25 იანვარს, ვანის მუნიციპალიტეტის მერის N2043 ბრძანებით და განისაზღვრა 5 509 828 ლარით. 2021 წლის განმავლობაში გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად საანგარიშო

პერიოდის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 10 061 248 ლარი. მათ შორის-საკუთარი სახსრებიდან შემოსულობები 1 212 580 ლარი.

2021 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 85 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 29, შეწყდა 4, გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 52 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 11 391 893 ლარი.

გამარტივებული შესყიდვების წესით გაფორმდა 125 ხელშეკრულება.

მონეტარული ზღვრების დაცვით 86 ლშეკრულება, ღირებულებით 99 025 ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე 9 ხელშეკრულება, ღირებულებით 123 256 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 21 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 457175 ლარი.

რაც შეეხება ახლად შექმნილ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას, საანგარიშო პერიოდში მის მიერ შემოწმებული იქნა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში 12 ოჯახი. შეივსო სკრინინგის ფორმები მათზე, ვისაც ჭირდებათ ფინანსური და მატერიალური დახმარება. თავად განყოფილების მიერ დახმარება გაეწია შეჭირვებულ მცირეწლოვან ბავშვიან ოჯახებს სასურსათო პროდუქტებითა და მედიკამენტებით.

შედგენილია მომავალი წლის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას.

საანგარიშო წელში მოხდა ვანის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მოდერნიზაცია (vani.gov.ge), იგი გახდა მრავალფუნქციური, რითაც გაუმჯობესდა მოსახლეობისათვის ინფორმაციის სისტემატურად მიწოდების ხარისხი. ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა სამოქალაქო საზოგადოებებმა. ასევე მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერიისა და მერის ფეისბუქგვერდები. ხელშეკრულების თანახმად აქტიურია ინტერნეტ საინფორმაციო სააგენტოებთან ურთიერთობა („topnews.com.ge” და “guardian”).

საკრებულოსთან ურთიერთობის სფერო

გასული წლის საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წარედგინა ანგარიშები, წერილები და დადგენილებების პროექტები მტკიცებისათვის.

კერძოდ:

- ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
- ანგარიში სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ;
- ანგარიშები 2021 წლის სამივე კვარტლის მიხედვით ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.
- ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ დადგენილებების პროექტები.
- ინფორმაცია, ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დახარჯული თანხების შესახებ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინებოდა კვარტალში ერთხელ.

საბიუჯეტო-საფინანსო სამსახური

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 28 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28 დადგენილებით. შემოსულობები განისაზღვრა - 6900,0 ათასი ლარით, გადასახდელები - 7600,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება განისაზღვრა 700,0 ათასი ლარის ოდენობით. 2021 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცხრაჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 16518,0 ათასი ლარის, გადასახდელები 17784,7 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1266,7 ათასი ლარის მოცულობით.

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	16518.0	9192.0	7326.0	16740.8	9050.8	7690.0	101.3%
შემოსავლები	16368.0	9192.0	7176.0	16523.8	9050.8	7473.0	101.0%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	0.0	150.0	217.0	0.0	217.0	144.7%
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
გადასახდელები	17784.7	9746.6	8038.1	15046.0	7140.4	7905.6	84.6%

ხარჯები	7745.8	522.3	7223.5	7563.0	424.1	7138.9	97.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	9983.3	9224.3	759.0	7427.4	6716.3	711.1	74.4%
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	100.0%
ნაშთის ცვლილება	-1266.7	-554.6	-712.1	1694.8	1910.4	-215.6	-133.8%
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1324.1	817.2	506.9	1324.1	817.2	506.9	
ნაშთი პერიოდის ბოლოს	57.4	262.6	-205.2	3018.9	2727.6	291.3	

2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 16368,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 16523,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 101,0% -ს შეადგენს.

გადასახადების 2021 წლის საპროგნოზო მოცულობა 6652,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 6974,5 ათასი ლარი წლიური გეგმის 104,8% -ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2021 წლის გეგმა 9192,0 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 9050,8 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 98,5%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 523,2 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა 498,5 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 95,3%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 7745,8 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 7563,0 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 97,6%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული წლიური გეგმა 9833,3 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულება 7210,4 ათასი ლარია, გეგმიური მაჩვენებლის 73,3%.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2021 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 150,0 ათასი ლარი გამოიყო, საიდანაც საქონლისა და მომსახურების მუხლით 4,9 ათასი ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 145,1 ათასი ლარი მიიღარა.

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების 2021 წლის ასიგნებების მოცულობა 2579,2 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 2530,9 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 98,1%-ია.

ინფრასტრუქტურის განვითარების 2021 წლის ასიგნებების მოცულობა 9829,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 7553,7 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 76,9%-ია.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პროგრამაზე 2021 წელს გეგმით 571,8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 571,7 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 100,0%-ია.

განათლების 2021 წლის ასიგნებების მოცულობა 2342,4 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 1961,0 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 83,7%-ია.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის საბიუჯეტო პროგრამის საკასო ხარჯი 1509,5 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 1522,4 ათასი ლარის 99,2%-ს შეადგენს.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის 2021 წლის ასიგნებების მოცულობა 939,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 919,2 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 97,8%-ია.

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვა

ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურმა 2021 წელს პრივატიზებაზე დააყენებული მუნიციპალური ქონებებიდან მოახდინა 17 ერთეულის განკარგვა.

სულ მიმდინარე წელს ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების განკარგვით მიიღო 216 850 ლარი.

„საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის შედეგად სამსახურმა მოამზადა 11 საგრანტო-საპროექტო განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მიზნით და გაიმარჯვა თერთმეტივე პროექტმა.

ჯამში, აღნიშნული პროექტები დაფინანსდა 5 215 771 ლარით.

სივრცითი მოწყობა, ინფრასტრუქტურა და არქიტექტურა

ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წლის განმავლობაში 2021-2022 წლების გარდამავალი პროექტების ჩათვლით ინფრასტრუქტურის მოვლა-განახლებისათვის სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებულია 148 პროექტი, საერთო ღირებულებით 17 193 389 ლარი. პროექტები დაფინანსებისა და კატეგორიების მიხედვით დაჯგუფდა 8 პროგრამად.

საანგარიშო წელში დაზიანებული საცხოვრებელი სახლის თაობაზე სამსახურმა შეისწავლა მოქალაქეთა 95 განცხადება. აქედან: ფინანსური დახმარება გაეწია 18 ოჯახს თანხით 33 500 ლარი, 5 ოჯახს მიენიჭა სათანადო კატეგორია და შუამდგომლობა გაეწია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,

განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროში, გეოლოგიურ შესწავლაზე ჩაინიშნა და შესწავლილი იქნა 36 ოჯახი.

საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო მშენებლობის განხორციელებისათვის მომზადდა და შესაბამისი წესის მიხედვით გაიცა 6 თანხმობის წერილი და 24 სანებართვო მოწმობა.

ზედამხედველობა

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობას. დასრულდა 2020 წელს დაწყებული გარდამავალი პროექტები.(შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია- ქ. ვანის, სალხინოს, ზედა ვანის, ზეინდრის, დიხაშხოს, ციხესულორის,ტობანიერისა და ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულებში).

წარმატებით მიმდინარეობს და დასრულების სტადიაშია 2021 წლის პროექტები:

1. დასრულდა ქ. ვანსა და სალომინოს ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია.
2. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია გარდამავალი 2021-2022 წლებში განსახორციელებელი 11 პროექტი, გამოყოფილია 5 260 686 ლარი. აქედან: 2021 წლის 1 718 900 ლარი, 2022 წლის 3 541 786 ლარი. პროექტების განხორციელება მიმდინარეობს.

სოფლის პროგრამით წარმოდგენილი იყო 74 პროექტი სხვადასხვა სოფლებში, ჯამური თანხით 516 212 ლარი, სულ პროგრამით გათვალისწინებულია 570 000 ლარი.

განახლებული რეგიონების პროექტით, რომელიც გულისხმობს ქალაქის ცენტრალური ნაწილისა და შემოსასვლელების კეთილმოწყობას, გათვალისწინებულია სავარაუდოდ 5-დან 6 მილიონამდე ლარი. პროექტი გარდამავალია და გაგრძელდება წლების განმავლობაში.

ჯამრთელობის დაცვა და სოციალური საკითხები

ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წლისათვის დამტკიცებულია 14 სოციალური პროგრამა. ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 699 000 ლარი. დამტკიცებული პროგრამებით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის 44 ბრძანება.

საბიუჯეტო სახსრები გადანაწილდა მოქმედი პროგრამების მიხედვით.

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების (დახმარება გაეწია 219 ბენეფიციარს, საერთო თანხით- 80140 ლარი);
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების (დახმარება გაეწია 71 ბენეფიციარს, თანხით 28900);
3. სამედიცინო დახმარების (დახმარება გაეწია 698, თანხით- 270 224 ლარი);
4. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა დახმარების 9 დახმარება გაეწია 24 ბენეფიციარს, თანხით 55 600 ლარი);
5. შ.შ.მ.პირთა დახმარების (დახმარება გაეწია 250 ბენეფიციარს, თანხით-73 900 ლარი);
6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის;(პროგრამის ფარგლებში სააღდგომოდ საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია პროგრამის ბენეფიციარებს და დამატებით, სოციალურად დაუცველ 10 ოჯახს , ხოლო საახალწლოდ 40 ბენეფიციარს და 34 ოჯახს). გახარჯულია 39 601 ლარი),
7. სტიქიით დაზარალებულთა დახმარების (დახმარება გაეწია 27 ბენეფიციარს, თანხით 39 500 ლარი);
8. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების (დახმარება გაეწია 8 ბენეფიციარს თანხით-8 000 ლარი);
9. ვეტერანთა დახმარების (დაკმაყოფილდა 33 ბენეფიციარი, თანხით-12300 ლარი);
10. მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების (დახმარება გაეწია 104 ბენეფიციარს, თანხით- 21 500 ლარი);
11. სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარების (დახმარება გაეწია 48 ბენეფიციარს, თანხით- 24 000 ლარი);
12. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების (დახმარება გაეწია 2 ბენეფიციარს თანხით - 400 ლარი);
13. უსახლ-კაროთა დახმარების (დახმარება გაეწია 6 პირს 4 ოჯახიდან თანხით - 3860 ლარი);
14. სარიტუალო დახმარების (დახმარება გაეწია 56 ბენეფიციარს, თანხით - 17 600 ლარი);
- 15.
16. სხვა სოციალური ღონისძიებების ფარგლებში, კომუნალური გადასახადების თანადაფინანსების მიზნით, დაფინანსდა შ.შ.მ. ბავშვთა დღის ცენტრი „ნათელი მომავალი“ (9 ბენეფიციარი თანხით - 5000 ლარი).

სულ საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 1590 ბენეფიციარს, თანხით 680 525,09 ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება 8 სახელმწიფო პროგრამა. მისი 2021 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 92000,0 ლარს.

სანგარიშო პერიოდისათვის გახარჯულია 92614,0 ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მონაწილეობს ასევე სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში, რომლის ფარგლებში მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 18 605.0 ლარი. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია 12 სახის ინფექციური დაავადების შემთხვევა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს აცრები.

რაც შეეხება ახალი ტიპის კორონავირუსს, მუნიციპალიტეტში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ რეგისტრირებულია 4157 დადასტურებული შემთხვევა, გარდაიცვალა 39. საანგარიშო პერიოდში კორონავირუსზე ტესტირება ჩაუტარდა 22762 პიროვნებას.

პერიოდში ანტირაბიულ კაბინეტს დახმარებისთვის მიმართა 305-მა დაზარალებულმა. გაიხარჯა 1379 დოზა ანტირაბიული ვაქცინა.

კულტურა - სპორტი

მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით ორგანიზება გაუკეთა და განახორციელა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, თუმცა ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გამო მასიური ღონისძიებების მომზადება და ჩატარება დაგეგმილის სახით ვერ მოხერხდა. გამონაკლისს წარმოადგენდა თეატრალურ ფესტივალში „თეატრალური იმერეთი“ მონაწილეობის მიღება. წარდგენილი იქნა სპექტაკლი „გოდოს მოლოდინი“, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მნიშვნელოვანი ფაქტი იყო განახლებული მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური მუზეუმის გახსნა, ასევე უნივერსიტეტის 100 წლისთავთან დაკავშირებით კორნელ კეკელიძის სახლ-მუზეუმში კინო გადაღება, რომელიც პირველი არხის ეთერში გავიდა.

საფეხბურთო კლუბი „ვანი-სულორი“

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ვანი-სულორი“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა 210 000 ლარით, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან კი 50000 ლარით.

მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დაფინანსებიდან, საანგარიშო პერიოდში, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 209 258 ლარი. პანდემიის გამო ზაფხულის შემდეგ შეწყდა ბავშვთა ჩემპიონატი (2 გუნდი), რომელიც არ დასრულებულა. მიმდინარეობს სერიოზული სამზადისი 2022 წლის ჩემპიონატისთვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფებიდან სამი გუნდი.

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხიდან ხარჯი შეადგენს 49222 ლარს. მთავარი გუნდის თამაშები, მიუხედავად პატარ-პატარა პრობლემებისა, არ შეწყვეტილა. გუნდი ასპარეზობდა მეოთხე ლიგის ჩემპიონატში, რომელიც წარმატებით დაასრულა და შესაბამისად დაფინანსებაც გაეზარდა 150 000 ლარით.

საფეხბურთო კლუბმა „სულორმა“ წარმატებით გაიარა კატეგორიზაცია და დაფინანსდა 5 525 ლარით.

საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა ფეხბურთელებისათვის, ასევე სტადიონისა და ოფისისათვის საჭირო ინვენტარი.

გუნდს გააჩნია იმის რესურსი, რომ მოტივირებული იყოს მომავალი წლისათვის მესამე ლიგაში გადასასვლელად.

სარაგბო კლუბი „აიეტი“

სარაგბო კლუბის „აიეტის“ ხარჯი საანგარიშო პერიოდში შეადგენს 172,929 ლარს.

გუნდმა მონაწილეობა მიიღო 2020-2021 წლის რეგიონალური მეორე ლიგის ჩემპიონატში, მონაწილე 10 გუნდიდან მესამე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება ჭაბუკთა „ბ“ ლიგასა და საფესტივალო გუნდებს, პანდემიის გამო, მონაწილეობა ვერ მიიღეს ზამთრისა და საგაზაფხულო ჩემპიონატებში, გარდა ერთი გამონაკლისისა, რომელიც ქალაქ ვანში ჩატარდა.

დასავლეთ საქართველოს ჭაბუკთა ფესტივალში ვანის გუნდმა 2-ჯერ მიიღო მონაწილეობა და ორივე შეხვედრა გამარჯვებით დაასრულა.

2021-2022 წლების რეგიონალური მეორე ლიგის ჩემპიონატის პირველ წრეში გუნდებმა ითამაშეს 7 ტური და 8 გუნდს შორის „აიეტი“ მეოთხე ადგილზეა. ჭაბუკთა „ბ“ ლიგა პირველი წრის (რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა) დასრულების შემდეგ გუნდურ მეექვსე ადგილზეა.

2021 წელს ვანის მორაგბეთა კლუბ „აიეტში“ ირიცხებოდა 91 მორაგბე. აქედან: მეორე ლიგაში 42, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში 34, საფესტივალო ჯგუფებში კი 25.

საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 172,929 ლარი.

გასათვალისწინებელია მორაგბეთათვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (გასახდელები, სველი წერტილები).

ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

განსაკუთრებული წარმატებებით ხასიათდება მძლეოსანთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა: საქართველოს ღია პირველობაზე, აფხაზეთის ღია პირველობაზე, საქართველოს ღია ეროვნულ ჩემპიონატზე, ახალციხის ღია პირველობაზე. მოასპარეზე გუნდებმა და ინდივიდუალურმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თამთა ღვინიანიძე საუკეთესო მოასპარეზე სპორტსმენად დასახელდა სიგრძეში ხტომაში, მიღწეული შედეგიდან გამომდინარე ივნისში იგი გაემგზავრება კვიპროსში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე.

აქტიურობით გამოირჩევიან ქართულ ჭიდაობაში მოასპარეზე სპორტსმენები, მათ მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ხაშურში გამართულ ოთარ შერაზადაშვილის და გოჩა გაგნიძის სახელობის ტურნირში, ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ახალგაზრდებს შორის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის მიშიკო აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი

რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა „სამბოში“. ორივე შემთხვევაში საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ქალაქ ქუთაისში სატურნირო შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო მოჭადრაკე ვასიკო შაპოვალოვმა. სარეიტინგო ქულებიდან გამომდინარე იგი ნოემბრის თვეში გაემგზავრება თურქეთში და ტურნირში 500 თანამონაწილეთა შორის მერვე ადგილი დაიკავა.

საბავშვო ბაღების გაერთიანება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 600-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

გაერთიანების 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1, 600, 000 ლარს, წლის მანძილზე გახარჯულია 1,594,7 ათ ლარი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარე წელში შეფერხებებით მიმდინარეობდა, რაც გამოიწვია გართულებულმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ. წლის მეორე ნახევარში საბავშვო ბაღებმა მუშაობა განაახლა 2021 წლის 4 ოქტომბერს, რაც 12 ოქტომბერს შეჩერდა. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი კვლავ განაახლდა 1 ნოემბერს და დასრულდა 2021 წლის 24 დეკემბერს.

პანდემიით შექმნილ ახალ გამოწვევებს ს/ბაღების გაერთიანებამ დადებითად გაართვა თავი. გაატარა ყველა ის ღონისძიება, რომელმაც მაქსიმალურად შეამცირა ვირუსის გავრცელების რისკები.

გამოწვევების მიუხედავად, საბავშვო ბაღებში ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული შიდა აქტივობები და ღონისძიებები.

“ვანის ტურიზმის ცენტრის“

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 60000 ლარით. მოცემულ საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 57 857.48 ლარი.

2021 წლის სამუშაო პროგრამა პანდემიის „კოვიდ 19-ის“ შესაბამისად გათვალისწინებული რეგულაციების მიხედვით დაიგეგმა.

ძირითადად განსაზღვრული იყო:

მაღალი ცნობადობისა და გამორჩეული აქტივობის მქონე ტურისტული ლოკაციებიდან სიახლეების უწყვეტი გავრცელება ტურისტული შინაარსის სიუჟეტებისა ყველა პლატფორმაზე.

ინგლისურ და ქართულ ენებზე ფოტო და ვიდეო რგოლების გავრცელება, მესიჯ-ბოქსებით ავტორიტეტულ ვებგვერდებთან და სოციალურ ქსელებთან თანამშრომლობა, რაც საფუძველია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტების მოზიდვისათვის.

დაიგეგმა პოპულარულ ბლოგერებთან, გიდებთან, ტურ-ოპერატორებთან და სხვებთან თანამშრომლობა.

კონფერენციებში მონაწილეობა.

ახალი ტურისტული პროდუქტების აღმოჩენა და პოპულარიზაცია,

აგრო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისად მეწარმეთა მხარდაჭერა შესაძლებლობის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ დამუშავდა ვანის ელექტრონული ტურისტული მარშრუტები და შეიქმნა აპლიკაციები, მაღალი ხარისხის ფოტო თუ ვიდეო მასალით. ვანის ტურისტული პოტენციალის პროპაგანდისათვის მნიშვნელოვანი ფაქტია კოპიტნარში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის არსებობა. საქართველოს ავიაბაზარზე ახლად გამოჩენილმა დაბალ ბიუჯეტთანმა ყაზახური ავია კომპანიის საშუალებით ყაზახური ინფო-ტური ესტუმრა ვანის განახლებულ არქეოლოგიურ მუზეუმს, რომლის ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდა ვანის ტურისტული ცენტრი. მომზადდა ვრცელი მასალა და გავრცელდა ყაზახეთის ცენტრალური არხის მიერ, ასევე გავრცელდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებებში.

მოეწყო ინფო-ტური მოგზაურთა კლუბ „მთანი მაღალნთან“ ერთად შემდეგი ტურისტული ლოკაციების პოპულარიზაციისათვის: ყოფილი კურორტი „გადიდი“, ვანის ანტიკური ნაქალაქარი და დიხაშხოს გოგირდის გეიზერი. ინტერესი გამოიწვია გადიდის თემამ. იგეგმება მისი თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია.

ტურიზმის ცენტრმა უმასპინძლა ცნობილ ბლოგერს გივიკო დიდიას. ის ესტუმრა გალაკტიონ და ტიცინ ტაბიძეების სახლ-მუზეუმებს. გასტრონომიული ტურის ფარგლებში მას უმასპინძლა ნინო და გოგი ხურციძეებმა.

ცნობილი ფოტო ხელოვანისა და ბლოგერის „მოგზაური მე ზურა გელაშვილის“ ობიექტივში აისახა ვანის ბანლეოლოგიური შესაძლებლობები. განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვა „დიხაშხოს გოგირდის გეიზერმა“. ვანის ტურიზმის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო შოუებსა და გადაცემებში. კერძოდ, იმედი ტვ- დილის შოუ ესტუმრა სოფელ ინაშაურს, post TV- გადაცემაში, ნათია ჩადუნელის სიუჟეტში მაყურებელი გაეცნო მეწარმე ზაურ თათვიძესა და ახალგაზრდა მეღვინეს მათე ლილუაშვილს. „ბადაგონის“ დაფინანსებით გავრცელდა სიუჟეტი ვანის ღვინის ისტორიაზე.

ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონის განახლებული მუზეუმი, რომელმაც უმასპინძლა ევრო კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის ელჩებს. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, მეცნიერებს, ხელოვანებს და სხვადასხვა პროფესიის ცნობილ ადამიანებს. გაიმართა გამოფენა - „სიცოცხლე და სიკვდილი- დიდებული პომპეი“. მუზეუმს ივლის-ოქტომბრის თვეებში ესტუმრა 10000-მდე ტურისტი.

ვანს სტუმრობდა წამყვანი მედია საშუალებები - ესტონეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი და პოლონეთის წამყვანი მედია-საშუალებების წარმომადგენლები. ვიზიტი მარკეტინგულ-

შემეცნებითი ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაცნობას, პოპულარიზაციას, რეკლამირებას.

შავი ზღვის ღვინის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო და ვანი წარადგინა ადგილობრივმა მეღვინემ ლილუაშვილების მარნიდან.

საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა, შესრულებული აქტივობების გათვალისწინებით, განთავსებულია ცენტრის სოციალურ ვებ გვერდზე. გვერდი ორენოვანი და განახლებადია.

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 60 000 ლარით. მოცემულ საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 57 857. 48 ლარი.

ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანება

ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების ბიუჯეტი 2021 წლისათვის განსაზღვრული იყო 523 ათასი ლარით, ხარჯმა კი შეადგინა 523,9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში გაერთიანებაში დასაქმებული იყო 87 ადამიანი.

სიძველის გამო ჩამოიწერა ექვევატორი.გამოყენებისათვის თითქმის უვარგისია ერთი ნაგავმზიდი, რომლის ჩანაცვლება ახლით აუცილებელია.

ასევე 2022 წლისთვის იგეგმება ამავე კალათის შექმნა.არსებული საკმაოდ მოძველებულია და ხშირად ზიანდება, მისი გამოყენების საჭიროება კი უფრო მეტად მოთხოვნადი ხდება. მაშინ, როცა ეტაპობრივად იზრდება გარე განათებების მოწყობა, მოვლა-პატრონობა, უფრო მეტიც, ის გამოიყენება სხვადასხვა სამუშაოების შესრულებისას (ხეების შესხვლისას) და ა. შ.

მერიის დახმარებით გასულ წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სანაგვე ურნების შექმნისა და ძველის (რკინის) ახლით (პლასტმასით) ჩანაცვლების მდგომარეობა. თუმცა ყურადსაღებია მოსახლეობის დამოკიდებულება და მოხმარების კულტურის უგულვებელყოფა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობას. ქალაქის ცენტრში აღმოიფხვრა ქუჩების დატბორვის შემთხვევები, გარდა ერთი გამონაკლისისა (რუსთაველის ქუჩა), სადაც კაპიტალური შეკეთებაა აუცილებელი.

საგულისხმო და დროული იქნება დამანაგვიანებელთა მიმართ საჯარიმო სისტემის შემუშავება.

მხარდასაჭერია კომუნალური გაერთიანების ინიციატივა, რეკონსტრუქცია ჩატარებული გივი ყიფიანის სახელობის პარკის ტერიტორიის გამწვანების ვალდებულების აღების შესახებ. ეს წინადადება მისაღებია და სხვა ორგანიზაციათა მიერ მხარდასაჭერი.

განსაზღვრულია 2022 წელში შესასრულებელი სამუშაოები, რომელთა განხორციელება ეტაპობრივად დაიგეგმება.

2021 წელს ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანების თანამშრომლებს, პანდემიის გამო, განსაკუთრებული რისკის ქვეშ უწევდათ საქმიანობა. რეკომენდაციების სრული დაცვით არ შეუფერხებიათ მუშაობა.

სამხედრო

2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვეული იქნა 16 წვევამდელი, საშემოდგომო გაწვევის დროს კი 4. პირველ ეტაპზე გადავადებით ისარგებლა 112-მა წვევამდელმა, მეორე ეტაპზე კი 98-მა.

17 წლის მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვას ექვემდებარებოდა 117 მოქალაქე, ფაქტიურად აღრიცხული იქნა 101 მოქალაქე.

საგულისხმოა, რომ გადავადებით ისარგებლა მღვდელთმსახურებით „გირჩი“- 19-მა მოქალაქემ.

გადავადების მოსაკრებელი გადაიხადა ერთმა წვევამდელმა. რეზერვში აღრიცხვაზე დგას 4417 რეზერვისტი.

შიდა აუდიტი

2021 წელში განსაზღვრული იყო ოთხი აუდიტორიული შემოწმება:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერია-„ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“;
2. ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანება;
3. სოციალური დაცვა;
4. ზოგადი განათლების ხელშეწყობა.

შემოწმება ხელს შეუწყობდა მათი საქმიანობის რისკების დადგენასა და შეფასებას, პრობლემების დროულ გამოვლენას და უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის მოხდენას.

შიდა აუდიტის ფინანსური კონტროლი უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე, ეფექტურ, ეკონომიკურ და ეფექტიან ხარჯვას.

სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაციით, 2021 წელში დაიწყო გეგმით გათვალისწინებული ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების შესაბამისობის აუდიტის ჩატარებისათვის დაგეგმვის ეტაპი, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ (კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით) ხელი შეუშალა დაგეგმილი აუდიტორული შემოწმებების განხორციელებას.

განხორციელდა მხოლოდ ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. შედეგმა აჩვენა, რომ ხარვეზები კვლავ მეორდება, რაც ქმნის ფინანსურ და შესაბამისობის რისკებს.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ჰარმონიზაციის ცენტრის კოორდინაციითა და Deutsche gesellschaft fur international Zusammenarbeit (GIZ) GmbH-ის მხარდაჭერით განხორციელდა შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება, პროგრამის- „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში“- ფარგლებში.

ხარისხის გარე შემფასებლის მოსაზრებით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტორიული საქმიანობა ნაწილობრივ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და IIA ეთიკის კოდექსს და არ შეესაბამება სტანდარტებს. გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლის გამოსასწორებლად შემფასებლის მიერ გაცემულია რეკომენდაციები, რომელთა უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა.

რაც შეეხება სამსახურის ეფექტურ ფუნქციონირებას ერთ-ერთი მიმართულება აუდიტის უკეთ გაგებისათვის საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაა, რაც გამოიხატება სამუშაო შეხვედრების, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებაში.

შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა 2021 წელში გაიარეს პროფესიული განვითარების ტრენინგები.